საქართველო

33789-01-2-202012241104

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/33789
24/12/2020

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **კახაბერ საბანაძეს**

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს
ბატონ **სოსო გიორგაძეს**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **ნიკოლოზ გაგუას**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
უფროსის მოადგილეს ბატონ **გიგა ნიკოლეიშვილს**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ლია გიგაურს**

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს
ქალბატონ **ნათია მერებაშვილს**

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსს
ქალბატონ **ეკატერინე ქარდავას**

საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორს
ქალბატონ **ლონდა თოლორაიას**

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის
სამსახურის უფროსს
ბატონ **ვალერიან ხასაშვილს**

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველო ყოველწლიურად ევროკომისიას წარუდგენს ანგარიშს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ანგარიში მზადდება ევროკომისიის მიერ წინასწარ მოწოდებული ანგარიშის ფორმის (Visa free Reporting Template) მიხედვით და უნდა მოიცავდეს, როგორც სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, 2020 წლის 10 ივლისს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ მესამე ანგარიშში (Third Report under the Visa Suspension Mechanism), საქართველოსთან მიმართებაში არსებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. საქართველოს მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისია დაიწყებს საკუთარი შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომლის გამოქვეყნება მომავალი წლის ზაფხულშია დაგეგმილი.

გთხოვთ, თანდართულ ფორმის მიხედვით (Visa free Reporting Template), თქვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, მოგვაწოდოთ ინფორმაცია **ინგლისურ ენაზე 2021 წლის 10 თებერვლამდე.**

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოხსენებულ საკითხზე საგარეო საქმეთა სამინისტროდან პასუხისმგებელი პირია ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის სექტორული ინტეგრაციის სამმართველოს მესამე მდივანი, ეკა ფხოველიშვილი (მობ: 599 64 22 88; ელ. ფოსტა: epkhovelishvili@mfa.gov.ge).

დანართი:

1. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანგარიშის ფორმა (Visa Free Reporting Template) (5 გვ.);
2. სავიზო რეჟიმის ანგარიშის წარდგენაზე ევროკომისიიდან მიღებული წერილი;(2 გვ.);
3. 2020 წლის 10 ივლისს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული მესამე ანგარიში (Thrird Report under the Visa Suspension Mechanism) (25 გვ.)
4. 2020 წლის 10 ივლისს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული მესამე ანგარიშის დამხმარე სამუშაო დოკუმენტი (Commission Staff Working Document) (65 გვ.).

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე